



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87.87222153

თარიღი:03/08/2022

**განკარგულება №23**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ საკობიანოში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული 30.23 კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს სოფელ საკობიანოში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი - 50.05.33.092) მეორე სართულზე არსებული 30.23 კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 424618382) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა 2 (ორი) წლის ვადით.
2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში ( ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

